

0 3 2 6 0    6 6 2 3 2 9 0

# მ რ ღ ე რ ე    ღ რ მ

(პ ა რ ი ნ ე რ კ ო მ ე ზ ი)

ასოციაცია  
„შ ე მ ო ქ მ ე დ ი“

თბილისი  
1991

## ა ვ ტ რ ი ს ა ბ ა ნ

წელი 1901 — საწყისი წელია საუკუნის დაშავირგვინებელა უკანასკნელი ათწლეულისა.

ეს წელი, ფორმითაც და შინაარსითაც გამორჩეული თარიღია: შინაარსით იგი საქართველოს თავისუფლების წელია, გრაფიკულად კა — გაწონასწორებული: ორშხრივად იკითხება.

გამომსახველობითი ფორმა რომ შეეძინა, ეს კრებული ასო-ასო, სტრიქონ-სტრიქონ იკინძებოდა წლების განმავლობაში . . .

ამ კრებულის მეგზური, პალინდრომული თარიღია — 1911 წელი.

დაე. უოფილიუოს იგი საუოველთაო აღმავლის, სულიერი აღორ-ძინების. ერის ნანატრ მიზანთა აღსრულების სვებედნიერი ათვლას წელიწადი . . .

## პადიდრომების შესანიშნავი ოსტატი

„პადიდრომი“ ბერძნული სიტყვაა, „უკულმა მოძრავს“ ნიშნავს და გულისხმობს ისეთ სიტყვას ან სიტყვათა წყობას, რომელიც ერთნაირად იკითხება თავიდან და ბოლოდან.

ასეთი სიტყვებით აგებული საღექსო სტრიქონები ქართულ პოეზიაში ცნობილია „ჩარხებრ მბრუნავი ლექსის“ (ვახტანგ VI) სახელწოდებით. თუ მთელ ქართულ პოეტურ შემკვიდრეობას გადავავლებთ თვალს, დღემდე სულ რამდენიმე ნიმუში გვაქვს შემორჩენილი, მაგრამ ისინიც: სვიმონ კოპაძის, იაკობ შემოქმედელის, ონანა მდივნის და თვით ვახტანგ შეექვისის პადიდრომები მაინც უფრო ერთგვარი თავშესაქცევის შთაბეჭდილებას ტოვებენ, ვიდრე ტრადიციულად გაგებული პოეტური სტრიქონებისა.

ჩვენს დროში ვერსიფიკაციული ძიებებით განსაკუთრებულად მდიდარია ვალაკტიონ ტაბიძის პოეზია. სხვა საღექსო ფორმათა შორის მის შემოქმედებაში გვხვდება პადიდრომებიც. სწორედ პადიდრომს წარმოადგენს საყოველთაოდ ცნობილი ლექსი — „აი, რა მზის სიზმარია“:

„აი, რა მზის სიზმარია,  
აირვეი, ივერია...  
აი, დროშა, აშორღია,  
აერების სიბერია“.

დროდადრო პადიდრომები ჩნდება თანამედროვე ქართველ პოეტთა შემოქმედებაშიც. მსგავსი ხასიათის მცირე მოცულობის ნაწარმოებები გამოქვეყნებული აქვთ ტარიელ ჭანტურიას, დევან ბრეგაძეს, ალექსანდრე ტაბატაძეს და სხვ.

მაგრამ ჭეშმარიტი მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს ორი პოეტის — ვახტანგ ჯავახიძის და იმერი ხრეველის „ჩარხები მბრუნავი“ ლექსები. საგულისხმოა, რომ ორივემ თავიანთი პირველი პაღინდრომები გამოაქვეყნეს სატირისა და იუმორის კლუბ „ილიკო და იღარიონში“, რომელიც 1986 წლიდან 1990 წლამდე ფუნქციონერებდა გაზეთ „ახალი-გაზრდა ივერიელში“. მათი პაღინდრომები პოეზიის სრულქმნილი სახე-ებია, რომლებიც უკვე პოეტურ სავარჯიშოებს კი არა, არამედ შემოქმედების დამოუკიდებელ, დასრულებულ ნიმუშებს წარმოადგენენ.

ვახტანგ ჯავახიძემ მათ უკვე მიუჩინა ადგილი ლექსების ერთ-ერთ უკანასკნელ კრებულში, ხოლო იმერი ხრეველისა, ერთ წიგნად აკინძული. პირველად ქვეყნდება.

კიდევ მეტი, ეს საერთოდაც, პაღინდრომების ცალკე გამოცემული პირველი კრებულია საქართველოში. სტრუქტურულად ურთულესი ალნაგობის ლექსები იშვიათი ოსტატობით არის შესრულებული — ავტორი ფიდიგრანულად ფლობს ლექსთაწყობის ამ უნიკალურ ფორმას. სრულიად განუყოფელია მისი ოთხმხრივი პაღინდრომები, რომლებიც არა მარტო პორიზონტადურად, არამედ ვერტიკალურადაც ორივე მხრიდან ერთნაირად იკითხება: კიდევ უფრო საოცარია რუსთაველის თექვსმეტმარცვიანი შაირით გაწყობილი რითმიანი სტრიქონები...

ავტორის ხედში ქართული სიტყვა აქამდე გამოუმუღავენებელ იღუმად შინაგან ბუნებას ავლენს და მის სიღრმეში ჩაბუდებულ იშვიათ ფარულ საგანძურზეც მიგვანიშნებს.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იმერი ხრეველის პაღინდრომების წიგნი განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს ქართული პოეტური ხელოვნების ისტორიაში.

ზ უ რ ა ბ ა ს კ ა ნ ე ლ ი

მსოფლიოში 3000-ზე მეტი ენა არსებობს, ანბანია — მხოლოდ 14; მათ შორის ქართულ ანბანს ლირსეული ადგილი უკავია.

„ქართული ენის ბგერების სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას სრულად ასახავს ქართული ანბანი. თითოეულ ცალკეულ ბგერას ცალკეული ასო შეესაბამება, ამ ასოთაგან თითოეული წარმოითქმება მკაფიოდ და სავსებით შეესაბამება ასო-ნიშანს: ამ თვალსაზრისით ქართულ ანბანს არც ერთი ბადალი არ მოეპოვება“, — წერდა ინგლისელი მეცნიერი უილიამ ედვარდ აღენი.

ქართული ენის სტრუქტურაში აღბეჭდილია ჩვენი ხალხის ისტორიული განვითარების გზა. ამ ენის სამყარო ბოლომდე ამოუწურავი; ამოუცნობი, მრავალხატოვანი და მომხიბლავი ფერებითაა სავსე.

ქართული ენა შემოქმედი ხალხის გენიამ შექმნა, ხალხმა დაიცვა და შემოინახა საუკუნეების მანძილზე.

უძველესი კულტურის მქონე ქართველი ერის ფიზიკური არსებობის შენარჩუნებისათვის ძალისხმევა გულისხმობდა მუდმივ საბრძოლო მზადყოფნას მტრებით გარემოცულ ისტორიულ სინამდვილეში, იგი შესაბამისად ავითარებდა თავის ფიზიკურ მონაცემებს:

„რომელ ხალხში ნახავთ უკეთესს გამამხნეველებს და რაინდულ შეკრებილებებს, როგორც ჩვენშია? ბურთი, ჯირითი, ყაბახი, ჭიდაობა, კრივი, მარულა და ბევრი კიდევ სხვა ამგვარი ნაციონალური თამაშობანი საკვირვლად ამალღებენ კაცს და ვგონებ ნამეტანი არ იქნება, რომ ვსთქვათ: ამალღებენ არა მარტო მის ფიზიკურ მხარეს, არამედ ზნეობასაც“ — წერდა „დროება“ 1874 წლის 2 აგვისტოს.

სხეულებრივი სრულყოფილების უძველესი კულტურა თვალსაჩინო ასახვას პოულობს ხალხურ ტრადიციებში.

ფიზიკურად ნაწრთობი ჩვენი დიდი წინაპარი არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა გონებრივ ვარჯიშობასაც, რაც პირველ რიგში, ენობრივ მასადას ეფუძნებოდა; ჩვენი შორეული წინამორბედნი, ენის გასატეხი სიტყვების ისეთ კომპლექტაციას ქმნიდნენ, რომ პოეტური თვალსაზრისითა და აზრობრივი ორიგინალობით საინტერესო იყო და მეტყველებისა და გრძნობა-გონების სავარჯიშოდაც გამოდგებოდა.

მშობლიური ენის გამოყენების სტრუქტურაში, ქართველი ხად-  
ხის მეტაფორული აზროვნებაა გაცხადებული, მასში გამოვლინებულია  
ეროვნული ენერგია პოეტური პოტენციალის სახით...

უდავოდ, ჯერ ზეპირსიტყვიერებაში უნდა აღმოცენებულიყო მხატ-  
ვრულ აზროვნებაში დამკვიდრებული სადექსო ფორმები, დროთა გან-  
მავლობაში პოეტური გამომხატვის საშუალებათა კლასიკურ ფორმებად  
რომ იქცნენ; მაგალითად ისეთები, როგორცაა: კაფია, სხარტულა, კა-  
დამბური, მაჯამა, შარადა, შირი, ანბანთქება, ზმა, ანაგრამა და სხვ.

სწორედ ამგვარი გრძობა-გონების სავარჯიშოების წყალობით  
ვითარდებოდა საუკუნეების განმავლობაში ქართველი კაცის პოეტური  
ბუნება, რაზედაც კარგად მიგვანიშნებს აკაკი წერეთელი, ასე და-  
უცხრომდად რომ ზრუნავდა და დიდი ამაგიც დასდო ხადხური საუნჯის  
შეკრებას:

„ჩვენს ძველებს არც ერთი უმნიშვნელო და ცხოვრებაში გამოუსა-  
დეგარი ჩვეულება არ ჰქონიათ — ასე გაშინჯეთ, რომ სათამაშოებიც  
კი შესანიშნავები იყვნენ თავის პედაგოგიური მნიშვნელობით, მაგა-  
ლითად: „ანზე ვისი ყმა ხარ?, „აჩიტი“, „ბერი ჩამოხტა“ და სხვანი.  
ამ „ბერი ჩამოხტას“ კვალბაზეა შედგენილი ივანე ბატონიშვილის  
„კადმასობა“. ჩვენც სწორეთ ამ გვარსავე გზას უნდა დავადგეთ და  
სიტყვიერი სათამაშოები გავახორციელოთ“.

ზეპირსიტყვიერებას აქამდე შემოუნახავს განსხვავებული სახის  
ენის გასატეხები და ჩქარ-სათქმელები, საქართველოს სხვადასხვა კუ-  
თხეში დღესაც რომ მოისმენთ:

„ჩიტმა რკო ჰამა, რკო ყლაპა, რკო მუხაზე გარტანა,  
მუსას რკო რალად უნლოდა, რომ რკოებს რკო შიუმატა“;

აღარაფერს ვამბობთ საქართველოს მთაში ტრადიციად ქცეულ  
ფოლკლორულ ფენომენზე ქართულ ხადხურ ზღაპრებზე და პოეტურ  
ეპოსზე...

მრავალფეროვან პოეტურ სავარჯიშოებთან ერთად საუკუნეთა გან-  
მავლობაში, როგორც ცადკედ აღტორებთან ისე ზეპირ სიტყვაში,  
ფრაგმენტულად, მაგრამ მაინც გვხვდება „წინა-უკმო“ სათქმელი ღეჭ-  
სი ანუ პადინდრომი,

„ბერძნული სიტყვა — Palindpomos — „უკუღმა მოძრავს“ ნიშნავს.

პაღინდრომული საღექსო ტაეპი ორი ნაკვეთისაგან შედგება, სადაც სტრიქონის მეორე ნახევარი; პირველი ნახევრის ანმანთა თანაწყობის შემბრუნებულ გრაფიკულ ფორმას წარმოადგენს; მთლიანი სტრიქონი, გარკვეული აზრობრივი ფუნქციითაა დატვირთული, რომელიც სხვადასხვა შემთხვევაში, სხვადასხვა საღექსო ფორმით შეიძლება იყოს გამოხატული. თუ ასეთი სტრიქონები ურთიერთმიმართებაში აზრობრივად არიან დაკავშირებულნი, ზოგჯერ მიიღწევა ღექსის კეთილმოვანება, იმდენად, რამდენადაც საღექსო სტრიქონში მარცვადთა და ბგერათა გამეორება ქმნის თავისებურ პარამონიას. ასეთი სტრიქტურის სტრიქონში მაშინ შეიქმნა საინტერესო ეფექტი, თუ იგი არ კარგავს შინაარსობრივ ფუნქციას, არ რჩება განყენებულად, აღწევს კომპოზიციურ მთლიანობას.

პაღინდრომული ღექსთწყობის სპეციფიკამ არ უნდა შექმნას საშიშროება სიტყვის აზრობრივი დაუტვირთაობისა. ქართული ენის მობილურობა და ღაკონურობა იძღვევა საშუალებას, სათანადო ვარიანტების აზრობრივი შეჯერება-მისადაგებით, მივაღწიოთ სასურველ ეფექტებს.

აზრობრივი კავშირის მიგნება, ნაწარმოების საღექსო კომპონენტებს ანიჭებს მონოლითურობას, თუ სტრიქონის ორივე ნაწილი მოწესრიგებულ, მთლიან აზრს გაღმოსცემს — ეფექტი მიღწეულად შეიღდება ჩაითვადოს. აქვე შეიძლება ითქვას, რომ ამ სახის წყობა ღექსისა — ხელოვნურია, მაგრამ მკაცრად განპირობებული...

ასეთ ღექსში სიტყვათა ინდივიდუალობას განსაზღვრავს, უმეტეს შემთხვევაში, სიტყვის ბგერითი შემადგენლობა, ხოლო გრაფიკულად დანაწევრებული სიტყვის მთლიანობის ეფექტს განპირობებს საგანთან ცნობიერების კონტაქტი; ღექსის შინაარსს კი განსაზღვრავს როგორც აზრობრივი კავშირი სიტყვებისა, ისე ამ შინაარსის შინაგანი განვითარების კანონზომიერების დაცვა.

ორმხრივი სიტყვები განუმეორებელია თავისი ფუნქციით: ისინი ერთსადაიმავე დროს აღნიშნავენ საგანთა სამყაროსაც და აქვთ ავ-

რთვე, ზუსტად ერთგვაროვანი თანწყობა, და რამდენადაც მათ შეუძლიათ ორმაგი დატვირთვის ატანა-ესაა მათი ღირსებაც...

ქართულ ენას აზრობრივი დახვეწა და გონისმიერი გადამუშავება, --- შორეული წარსულიდან მოყოლებული — არასოდეს უნდა დაკლებოდა...

პაღინდრომი — თავისებური ცდაა ტექსტის ორმხრივი შინაარსობრივი დატვირთვისა, ტექსტის ორმხრივი წაკითხვისა...

\* \* \*

ქართველ პოეტთა შორის, ქართული სიტყვის „უკუ მოძრაობის“ თავისებურებათა ძიების ცდა ქართული დიტირატიურის ალორძინების პერიოდის თვალსაჩინო პოეტების: არჩილისა (1647-1713) და ვახტანგ მეექვსის (1675-1737) „წრე ლექსსა“ და „ჩარხებრ მბრუნავ ლექსებში“ გვხვდება.

არჩილის თექვსმეტმარცვლოვანი წრე ლექსის „სადექსო სტრიქონა („ამაოებასა იგავით ასოთა შენობს მოესო...“), თუმცა ბგერათა ვრაფიკული დუბლირებით არაა აგებული და ბოლოდან არ იკითხება, მაგრამ სიტყვათა გადასმით ერთი და იგივე საზომის სხვადასხვა ვარიანტი მიიღება; ყოველი ვარიანტი, მსგავსად ბუნებრივი ლექსისა, ოთხჯერ მეორდება ისე, რომ შინაარსი არ იცვლება (მაგ.: „მოესო ამოებასა იგავით ასოთა შენობს“ და ა. შ.), ხოლო ვახტანგ მეექვსის „ჩარხებრ მბრუნავი ლექსი“, რომელსაც ეპიგრაფად აქვს წამძღვარებული პაღინდრომი — „იმატა ასვათ ასეთი, ითესა თავსა ატამი“ — ისევე იკითხება მარცხნიდან, როგორც მარჯვნიდან:

„აბანა ერსა მოშინითა: ათშინით ასრე ანაბა,

აბანა დარად იღება: აბელი დარად ანაბა,

აბანა იშინი რამეთუ: უთემარ შინი ანაბა,

აბანა არად აბზედა: აღეზბა დარა ანაბა“.

„...ასეთი სახის პოეტური ვარჯიშობანი, — აღნიშნავს მკვლევარი დავით კობიძე, ვახტანგის ამ ლექსზე მსჯელობისას, — როგორც ქართულ, ისე სპარსულ პოეზიაში საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯისცემისაგან შორს იდგა... იგი არასოდეს არ გამოდოდა ამა თუ იმ ხანის პოეტური შემოქმედების დონის განმსაზღვრედად, თუმცა



მას... გარკვეული ფუნქცია გააჩნდა, რაც ძირითადად საზომის, რითმისა და რიტმისადმი ყურადღების გამახვილებაში გამოიხატებოდა“.

მიუხედავად გამოთქმული შეხედულებისა, ვახტანგის ამ ლექსშია ყურადღებას იქცევს ეპიგრაფი: „იმატა ასვით ასეთი, ითვისა თავისა ატამი“.

აღნიშნული წინადადება ენის გასატეხ იმ სავარჯიშოთა რივს უნდა ეკუთვნოდეს, რომელიც ქართულ ფოლკლორში საკმაოდ გავრცელებული უნდა ყოფილიყო და თვით ზემოაღნიშნული ტიპიც, რომელიც მეფე — პოეტს თავის „ჩარხებრ მბრუნავი ლექსისათვის“ დაურთავს, — ხაღბური პოეზიის ნიმუშს უნდა წარმოადგენდეს.

ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში, როგორც ხაღბური შემოქმედების ნიმუში, ეს სტრიქონი ასეთი სახითაა დამოწმებული:

„ატამი ითვისა ასეთი იმატა“.

იქვე აღნიშნულია, რომ: „უაღინდრომი გავრცელებული იყო აღმოსავლეთ სამყაროში, გვხვდება ძველ ბერძნულ პოეზიაშიც. ძველ ქართულში მას „წალმა-უკულმა წასაკითხავი ლექსი“ და „შუამბრულებული ლექსი“ ერქვა. გვხვდება ე. წ. აღორძინების ხანის პოეტებთან — (იაკობ შემოქმედელი (ღუმბაძე), ონანა მდივანი (ქობულაშვილი), ვახტანგ V და სხვ).“

ქართული პოეტიკის ისტორიის მკვლევარს გ. მიქაძეს შესწავლილი აქვს როგორც იაკობ შემოქმედელისა და ონანა მდივნის ამ სახის ლექსები, ისე სხვადასხვა დროის ავტორთა მიერ შექმნილი, წალმა-უკულმა საკითხავ ლექსთა რამდენიმე ნიმუში (გ. მიქაძე, ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან, „მეცნიერება“, 1974, გვ. 85-88).

1646 წელს მამუკა თავაქარაშვილის მიერ გადაწერილი „ვეფხისტყაოსნის“ ნუსხაზე მიწერილია შემდეგი სახის ლექსის ერთი სტროფა:

ისანათა საერამას სამარეას ათანასი,  
ისანათა ნამან სამას მეფემ ნამან ათანასი,  
ისანათა ერამარე დასაფასად ათანასი,  
ისანათა იშაბაში ერამარე ათანასი.

ასეთივე ლექსი დაუწერია სვიმონ კობაძეს:

წმინდა არს, წმინდა არს, წმინდა არს, სრა აღიმწ, სრა აღიმწ, სრა აღიმწ,  
წმიდა არს ჩემი უფალი, ილაფუ იმეჩ სრა აღიმწ...

იაკობ შემოქმედელი (ღუმბაძე):

სამი ილოცე ოსანა ანასო ეტოლი იმას,  
სამასი რამათ ეღემი იმეღე თამარ ისამას...

ონანა მდივანი (ქობულაშვიდი):

ესერა მსურის სიმდაბლე ელბადმის სირუსმ არესე,  
ესერა პირსა მომხალა აღახმომ ასრიბ არესე...

„ვეფხისტყაოსნის“ მშეხატუნისეული ხედნაწერის თავისუფად  
გვერდზე მიწერილია ერთი სტრიქონი, რომელიც წალმა-უკულმა იკა-  
თხება:

ატაჲ ილეთიწ წითელი კატა.

XIX საუკუნის 40-იან წლებში თეიმურაზ აგიაშვილს გადაუწერია  
ხედნაწერი კრებული „მრავლისმეტყველი“, რომელშიც შეტანილია უცნო-  
ბი ავტორების პადინდრომები;

1. ესე ვისი სანადირო ორი დანას ისრე ესე;
2. ესაია ანანია აი ნანა აი ასე;
3. იმატან ასეთთ ასეთი ითესა თავსა ატაში;

ეს უკანასკნელი პადინდრომი, ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში  
შეტანილი შემოკლებული ვარიანტის სახით და ასევე შემოთმოტანილი  
ენის გასატეხები და ჩქარ-სათქმელები, ჩაწერილი მაქვს ამ 25 წლის  
წინათ ჭიათურის რაიონის სოფ. ზოდში 80 წლის გოგოტია გამყრე-  
ლიძისაგან, როგორც ზეპირსიტყვიერების ნიმუში.

ვახტანგ VI-ის შემოქმედების მკვლევარი ბორის დარჩია წიგ-  
ნში, — „ვახტანგ მეექვსის პოეტური სამყარო“ („მეცნიერება“, თბი-  
ლისი 1988, გვ. 413; სქოლიო), აღნიშნავს ვახტანგის მიერ გამოყენე-  
ბული ამ ეპიგრაფის შესახებ: „შეიძლება შემთხვევითი არ იყოს ის  
ფაქტი, რომ ერთ გვიანდელ, XIX საუკუნის 40-იან წლებში, თეიმურაზ  
აგიაშვილის მიერ გადაწერილ ხედნაწერ კრებულში „მრავალმეტყველი“,  
ჩვენთვის საინტერესო სტრიქონი ცადკე, ვახტანგის ღეჟსის გარეშე  
იკითხება...“

მამასადამე, ვახტანგის „ჩარხებ მბრუნავი ღეჟსის“ ეპიგრაფად  
წამძღვარებული სტრიქონი ხაღხში გავრცელებული ზეპირსიტყვიერების  
ნიმუშია, ხოლო ვახტანგის მიერ მისი ეპიგრაფად გამოყენება მიგვა-

ნიშნებს იმაზე რომ პოეტმა მისი ზეგავლენით შექმნა „ჩარხებში მბრუნავი ლექსი“.

\* \* \*

ანაგრამულ ტექსტში ასოების გადასმა ქმნის სხვა მნიშვნელობის სიტყვას, ხოლო სიტყვაში ასოების გადასმა მთლიანად ცვლის სიტყვას აზრსა და მნიშვნელობას.

გადაკტიონ ტაბიძის მიერ ანაგრამის წესით შედგენილი ერთ-სტროფიანი ლექსი პადინდრომულად იკითხება:

„აი რა მზის სიზმარია,  
აირევი ივერია...  
აი დროშა აშორღია,  
აერების სიბერეა“.

მუნებრივად მიგვაჩნია ის ინტერესი, რომელიც გადაკტიონს გამოუჩენია ამ სალექსო ფორმისადმი. ქართული სიტყვის შესაძლებლობისა და გამომსახველობითი უნარის მრავალმხრივობაში დარწმუნებულმა, თავისებურად გააზრებული, გარკვეული შინაარსის მქონე „უკულში მოძრავ“ სტრიქონებში, ჩამოყალიბებული, პადინდრომული რვა მარცვლიანი ლექსი შემოგვთავაზა, რომელშიც ყოველი სტრიქონის მეორე ნახევრის უკულმა წაკითხვით, მიიღება ამ სტრიქონის პირველი ნახევარი და პირიქით...

ეს ლექსი 1927 წელსაა გამოქვეყნებული (გ. ტაბიძე, ლექსები, 1927 წ., გვ. 20).

გადაკტიონ ტაბიძის ნაწარმოებთა აკადემიური გამოცემის შენიშვნებში აღნიშნულია, რომ ამ ლექსს გაგრძელებაც აქონია (გ. ტაბიძე, ტ. 2 „სამჭოთა საქართველო“, 1966 წ., გვ. 450); აი ისიც:

„აღის დავა, ავად სილა,  
აი, რა დრო ორღარია,  
ოღნავ ისევ ისე ვანლო,  
აი, რა მზის სიზმარია.“

ხედნაწერში ეს სტროფი გადახაზულია, რამდენადაც როგორც ტექსტიდან ჩანს, მესამე სტრიქონი გამართული არაა და სიტყვე-

პი — „ისევ ისე“, შემბრუნებით წაკითხვისას არ იძლევა მის ადექვა-  
ტურ შესატყვისს.

დ. კობიძე თავის წიგნში, — „ქართულ-სპარსული დიტირატიკული  
პროტივობანი“ (ტ. II, თბ. 1969 წ.), ცალკე თავს უძღვნის ვ. ტა-  
ბიძეს — „ჩარხებზე მბრუნავი ლექსი გ. ტაბიძის პოეზიაში“, სადაც  
აღნიშნულია:

„გ. ტაბიძის შემოქმედებაში აღმოსავლური ელემენტი შეცვრილი  
ძველი ქართული პოეზიიდან, რომელსაც ჩვენი სასიქადულო პოეტია  
კარგად იცნობდა. მის ლექსებს შორის „ჩარხებზე მბრუნავი ლექსის“  
არსებობა, შეიძლება ითქვას, დიდი პოეტის მიერ ძველი, მივიწყებული  
სადექსო ფორმის გახსენებას წარმოადგენს“ (გვ. 280).

გ. მიქაძე თავის ნაშრომში არ იზიარებს მკვლევარის ამ დას-  
კვნებს: „მკვლევარის დასკვნებს ვერ გავიზიარებთ. ჯერ ერთი, მოყვა-  
ნილი ნიმუშები არ არის „ჩარხებზე მბრუნავი ლექსი“. როგორც ვნახეთ  
ის სულ სხვა ლექსის სახეობაა. ამიტომ ამ ლექსის ფუნქციებიც სულ  
სხვაა. ის არ არის დაკავშირებული ლექსის ზომების აღნიშვნასთან, მა-  
თი ვარიაციების ჩვენებასთან. გ. ტაბიძის შემოქმედებაშიც აღნიშნუ-  
ლი ლექსი არ უნდა წარმოადგენდეს ძველი ქართული მწერლობის „მივი-  
წყებული სადექსო ფორმის გახსენებას“. გადაქტიონის მიერ მოყვანილი  
ლექსის შეთხზვა სხვა ფაქტორით უნდა იქონიოს განპირობებული.

პაღინდრომი გადაქტიონის შემოქმედებაში რუსული მწერლობიდან  
უნდა მომდინარეობდეს. ეს ლექსი ძველ ქართულ მწერლობაში არ იყო  
გავრცელებული. როგორც ზემოთ ვნახეთ, ცნობილია სულ რამდენიმე  
ნიმუში, თანაც ისინი ხედნაწერებშია დაცული. პაღინდრომის ქართული  
ნიმუშები გადაქტიონის ლექსის დაბეჭვდამდე გამოქვეყნებული არ ყო-  
ფილა და არც რაიმე საბუთი გვაქვს ვამტკიცოთ, რომ მათ პოეტი ხე-  
დაწერებში გაეცნო. ამიტომ, საეჭვოა, რომ გ. ტაბიძის შემოქმედებაში  
(1927 წ.) ამ ლექსის არსებობა ქართული პოეზიის „ძველი, მივიწყ-  
ებული სადექსო ფორმის გახსენებას წარმოადგენდეს“. და თუ გადაქტი-  
ონმა მიმართა ამ სადექსო ფორმას, მხოლოდ როგორც „სავარჯიშო და  
გასართობ საშუალებას“ (გ. მიქაძე, ერთი ლექსის სახეობისათვის  
გადაქტიონ ტაბიძის პოეზიაში, შოთა რუსთაველის სახ. ქართული დი-  
ტირატიკის ისტორიის ინსტიტუტის 30-ე სამეცნიერო სესია. მუშა-  
ობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ. 1970, გვ. 7).

შენიშვნის სახით უნდა ითქვას, რომ გ. ძიქაძე ტექსტში ყველაზე „გადაკტიონს“ წერს, რაც არასწორია. დიდი პოეტი თავის სახელს წერდა ფორმით „გადაკტიონი“.

ვერ დავეთანხმებით მკვლევარს იმაშიც, რომ თითქოს გადაკტიონმა „მიმართა ამ საღექსო ფორმას, მხოლოდ როგორც სავარჯიშო და გასართობ საშუალებას“; გენიოსისათვის შემოქმედების ყველა ფორმა აზრის გამოხატვის საშუალებაა და თუ გავითვალისწინებთ ლექსის დაწერის თარიღს დავრწმუნდებით, რომ ამ ოთხ სტრიქონშიც დიდი პოეტის უტყუარი ინტუიციამ გაცხადებულ...

რაც შეეხება გადაკტიონის მიერ ამ საღექსო ფორმის გამოყენების საფუძველს, უფრო მართებულია დ. კობიძის პოზიცია, რომ იცა „ძველი, მივიწყებული საღექსო ფორმის გახსენებას წარმოადგენს“ და არა რუსული მწერლობიდან ნასესხებ ფორმას, როგორც ამას აცხადებს გ. მიქაძე; ამ აზრის გამოთქმის უფლებას სტატიის დასაწყისში მოტიანილი არგუმენტები იძლევა.

სახელწოდებაც — „ჩარხებრ მბრუნავი ლექსი“ არაა ხედალებით უარსაყოფი, რადგან ტერმინი „ჩარხი“, „ჩაღხი“ და „გაჩაღხვა“ — დიტრატურულ პროცესთან კონტექსტში, თითქმის 300 წლის წინ თვით ვახტანგისა და სამას მიერაა განმტკიცებული და იგი არა მხოლოდ მოქმედებას, არამედ მოქმედებაში საგულისხმებედ პროცესს უფრო აღნიშნავს.

დასტურად გამოდგება (ქილია და დამანას“ ზენაწერზე დართული „ანდერძი სუღხან-საბა ორბელიანის დიდად შეჭირვებულ შელონებუღისა“, სადაც ნათქვამია: „და ებრძანა (ვახტანგს): ეს ჩემი ჳირნახულია გაჩაღხე გემოანად, და სადაც ლექსები ჩართული იყოს, აგრევე ქართულად ლექსები ჩაურთო“ (ქილია და დამანა, ივავ-არაკები, ქართულად გამომღებული ვახტანგ VI-ისა და სუღხან-საბა ორბელიანის მიერ, ად. ბარამიძისა და პ. ინგოროყვას რედაქციით, „საბჭოთა მწერალი“, თბილისი, 1949, გვ. 4).

პოეტი ვახტანგ ჯავახაძის მიერ უკანასკნელ ხანს გამოცემულ საინტერესო წიგნში, რომელიც გადაკტიონ ტაბიძის ცხოვრებასა და შემოქმედების უცნობ მომენტებს გვაცნობს (უცნობი, აბოღოგია გადაკტიონ ტაბიძისა, „ნაკადული“, 1988 წ.), 169-170 გვერდში მოძღვნიდრ აქვს პადინდრომს გადაკტიონის შემოქმედებაში.

რეკვევა, რომ ვარდა ზემოთმოტახილი, დღემდე ცხოპილი დექსისაა „აი, რა ძვის სიზმარია“, რომლის ავტოგრაფი 1922 წლის ხელნაწერ-რეკვიში აღმოჩნდა, პოეტს ჰქონია შემდგომ პერიოდში შექმნილი პადინდროპული დექსებიც. ამას, წიგნში დამოწმებული გადაკტიონის სიტყვებიც ადასტურებს:

„ჩვენს მიერ შემოტანილი და გაუმჯობესებული იქნა ქართული დექსის მიწავალი ახალი ფორმა, მისი ასონანსები, აღიტერაციები, ხმათა მიბაძვა, თეთრი დექსი, შინაგანი რითმები, პადინდრომები და სხვ. და სხვ.“

პოეტის ეს სიტყვები კარგად გამოხატავს ავტორის დამოკიდებულებას ქართული პოეტური ტრადიციების მიმართ და საფუძველს აცდის იმ ავტორთა მტკიცებას, რომ პოეტმა „მიმართა ამ სადექსო ფორმას, მხოლოდ როგორც სავარჯიშო და გასართობ საშუალებას“.

როგორც ჩანს, თავის პადინდრომთა შორის გამოქვეყნების ღირსად უცვნიდა აზრობრივად ყველაზე ტევადი ტექსტი, მაგრამ ფორმით საინტერესოა დანარჩენი პადინდრომებიც.

აქვე ეოვიტანთ 1949 წელს გადაკტიონის მიერ ქუთაისისადმი მიძღვნილი პადინდრომის ორ ვარიანტს:

„ა ის ია! ა ის ია!  
აისია ო აისი  
ის ია თუ ქალაქია  
აი ქალა: ქუთაისი“

ეს დექსი პოეტს შემდეგ დაუხვეწავს:

„ის ია თუ ქალაქია,  
აი ქალა: ქუთაისი,  
ამ ქალაქმა, ამ ქალაქმა  
ისიამა ა მისი.“

პადინდრომის სტრუქტურის საზღვრების გაფართოება, მისი სადექსო ფორმის განვრცობა თანამეკრძე შემოქმედთა შორის უახტანტ ზღაწახაქმმ სცადა, და ეს გასატეპირტაა: ხვე მუშაობდა გადაკტიონის შემოქმედების გამოცემასზე ამდელად, ტანაკვიჩი აჩაა, რომ ამ სადექსო ფორმის დასამკვიდრებდა მან სცადა დიდ პოეტის პადინდროპული შემოქმედების გზის განგრძობა.

გადაკტიონისადმი მიძღვნილ წიგნში — „უენობი“, ცადვე თავი სწორედ, პოეტის „წინა-უკომო“ საკითხავი დექსეპის წარმოჩენას გავუძღვინა.

გადაკტიონის პადინდრომული სადექსო ფორმაც გახდა ადბათ. ერთგვარი სტიმული მისი დანტერესებისა პადინდრომით... სიტყვაზე გამოწვდიდვით მუშაობა პოეტისათვის ბუნებრივი, შემოქმედებითი პროცესია; რაც შეეხება პადინდრომს, მისი ფორმა ყველა შემთხვევაში დაძაბულ, მაძიებელ შრომას მოითხოვს. ამ შრომის შედეგია ვახტანგ ჯავახაძის 10 პადინდრომი, რომელიც მის პოეტურ კრებულში — „მო-მიკითხე ზღვა“ — დაიბეჭდა (ვ. ჯავახაძე, „მომიკითხე ზღვა“, თბილისი „მერანი“, 1988 წ.).

სანიმუშოდ მოვიტანთ რამდენიმე ნაწყვეტს ამ დექსიდან:

„აი, ვაჟავ, აი ლიბოდ დობილია, ვაჟავ ია!  
აილამას დალ-ურემიცი იმერულად სამალია,  
აი ამას არ აღარა, არაღარა სამაია.  
აირემა ირემიცი, რაც იმერი-ამერიცა,  
აი, რემა როგორ, როგორ, როგორ, როგორ ამერიცა...  
...  
...ა, ივერი და ნანინა: ბანი ნანადირევიცა,  
აირევი: აი რა მზის სიზმარია ივერია!“  
(„ანაბანა“)

კიდევ ერთი ნაწყვეტი „წინა-უკომო“ საკითხავი დექსიდან „ანტიპიტნა“:

„...თიბო ანტიპიტნა ობით,  
თიბო აჩაბაჩაობით.  
ცადო XIX ოდაც,  
ატოც-ატოც, ცოტა-ცოტა.  
ორთავ იბერები ვართო,  
ოდნავ სახით თხხას ვანდო.  
ბეჭა, სალუქ ქულას აჭეჭი  
ტელგმას ვაშით თიშავ სამგლქქი  
ვაშით ქალაქ-ქალაქ თაშავ;  
ჭაშინ აქალაქი ნიშამ...“ და სხვ.

მოტიანილი მაგალითებიდანაც ჩანს, რომ პადინდრომულ ლექსში სრულყოფილების მიღწევა დაუსრულებელი პროცესია და შრომის სირთულე ამ მიზნის მისაღწევად, ბათილდება სრულყოფილი ფორმის აღმოჩენის ეფექტით.

...„წინა-უკმო...“, „წალმა-უკულმა წასაკითხავი...“, „შუამბრუ-ეპული ლექსი“, „ჩარხებრ მბრუნავი“ ანუ პადინდრომული ლექსის ფორმას წარსულის სიღრმეში აქვს სათავე, რომედმაც თაობათა ხსოვნიდან ჩვენამდე მოაღწია, რათა უფრო მიგვაახლოს ქართული სიტყვის იდუმალეზასთან და უფრო გააზრებულმა და გამრავადფეროვნებულმა მომავადშიც განაგრძოს სიცოცხლე.

წინამდებარე კრებულიც ამ რწმენის საფუძველზე შეიქმნა...

ი მ ე რ ი ხ რ ე ვ ე ლ ი



## პადინდრომული წიგნიწადი

ემბრა რბე —  
აი, 1991-ია,  
აი, როგორია  
1991...  
აიყუფე ყია,  
ედარ-ეფერადე:  
ერა ვიკმარეთ, ერა შკივარე;  
ერა ხომ მოხარე, —  
არა, ხომ მოხარა  
ამ ეღვარ-მემრავდემა!  
არ ეფერ-ეფერა,  
ადაეა ავადა,  
სვე წამომანწევს  
ასავდენ ეღვასა  
აავდენ... ეღვაა...  
ავდება გაბედვა...  
ცას ეღო როდესაც  
ცას-ურღვევ ღრუსაც,  
ცასებურ უბესაც,  
აისის ია —  
ადარა მარადა,  
იდარე, ფერადი  
აცინე შენი ცა,  
ცადე 1991-ედაც  
ანათო თანა...  
დაბერა დარებდა  
ეღვარა ცა რა ვდე,  
ადარე ერადა,  
ეზმანე ენამზე,  
ეზმანე-ნამზე,  
ა, დიდავ ადი და  
ეღვა ცასაც ავდე:  
იარალად აღარაი

ღონეა დედურ უდედაეზოდ,  
ღონე უენოდ  
არაა რა...  
დაბერებად  
და რაღა ჭალარად ---  
ნაირქარა ქრიან,  
იბურა ქარები...  
ანათღე წედთანა, —  
ასი 1991-ისა  
დასაფასად,  
ეცამამაცე:  
აწი მიწა  
თედეთ,  
ათენეთა...  
ადე და, ცადე და —  
თედეთ ან იციცინათედეთ...  
აღემართე და ცადეთ რამე-ლა!

## თავისუფად საქართველოს

თვალად ავად აღავთ,  
ან რად არ აღარნა?  
ვეღო რა მასამართლევ,  
ნიღვა თაველი...  
სევდა გადაგადევს,  
უნდო სადასოდ ნუ —  
ფერ-კადრულურ დაკრეფ  
ასრესილი სერსა...  
რავად ავად ავად,  
სრულად ამაღ აღურს  
არ უთენე თუ რა?  
ქედად აბა, დადექ!  
ამ ზარმა დამრაზმა...  
რავა რაღა რა ვარ?!  
თვალ-მერცხად... ახ, ცრემლავთ...  
ველი მილიმიდე...  
ენავ, ასავანე...  
რავადა ცად ავად,  
ო, გემად ამეგო —  
სერავ ამ ავ არეს...

## 9 აპრილი

1989 —

წილო მიმოღეწ!  
ემართათ რამე?  
ჩეკურად არ უკედ  
ივერს მომსრევი...

1991

აი, რა ღრო ორღარია...  
გალაპტიონი

აი, სარკვედა ცამ იღიმა, ცად ეკრას ია...  
ივსე, შვესებუდ ადად-ადად უბესვე შესვი...  
რა ცრუ ნამგაღმა ამღეკელმა, ამღაგმა ნურც არ,  
აღაგმა ნათი, ცამ აწამა, ცით ანამგადა,  
ღარად ავა ან დაბერებად, ნაავადარად,  
რა ხარ ეგეთი, ცა-ღარადა ცით ეგერა ხარ!  
ო, დეღმა სად ცად არ აკარა, დაცდა სამგდელღო,  
ო, აღი სერსაც ამალამაც ასრესიღაო,  
რა ხარ ან ერა, რა ხანა ხარ, არენა რა ხარ,  
ღასიცა კივა დაბერებად ავი კაცისად;  
ან აყვევ ქარში... ვერ ადარე ვიშ რა ქვეყანა!  
რახან აყვევ ქარს, აცა-ბაცას, რა ქვეყანა ხარ?  
იშერს ისრებად ოდეს ეღო და ბერს ისრები,  
აი ცა ტანად ანატანად ანატაცია...

## ე რ ე რ ე

სევდა მადვეს,  
არ ადარა —  
მე ძუძუძემ  
შიში ვიშიშ,  
ოროკოჩო  
ზედად დადებ  
დამუდ უმად  
ოდნავ ანდო,  
მერგე ეგრევ  
დადად ადად  
არ ახარა  
გივეწი ვიწვიმ,  
აიღია  
ზარა დარაზ  
ო, მოზომო  
დასაფასად,  
მერე მერგე —  
დასად-დასად  
ადავა და...  
მერ-ლა აღრევ!

## პადინდრომული ანბანთქება

ადრე წერდა... ავი წუთი ცით უწივა, ადრე წერდა...  
ბერ-ღევად არ არიხინა, — მან იხირა: რად ავედრებ?  
მანა ხმა, თავი გაგმანა: მანამ გაგივათ, ამხანაგ!...  
ღარ-ღიდმა მეზე წანათლა-ქადთანა წერე მამდიდრად,  
ქიცი, მნათობით ვერ ცანო, მონაცრევე, თიბო თან მცირე,  
პენდე ხარ-კამეჩი არა, არ აიჩემა, კრა: ხედნევ!  
ზარმაცად არევე-ამოდნე, გენდომა ვერა და-ცა-მრახ,  
ქილი ცერად, დავდა მიღესა, რას ელი მადვად დარეცილთ,  
ქიცი, ვიკვართეთ, ნათათრებ ბერთა თან თეთრავ, ქი ვიცი —  
ქერად ადარე კარ-მზისი, ისიზმრა კერა და დარეკ,  
ღიბო-ცრვად, ციხე-ფესვიცა, რაც ივსე ფეხიც დავრცობილ  
მელი ცას... და რა მზის მეხი, ციხემ სიზმარად საცილემ —  
ნათლის ვარ ამათ ნაცრევთა, ცათ ვერ ცან თამარ-ავსილთან,  
ქრად ივერ ცან, ვერ ცანი, ინაცრევე, ნაცრევე იდარო,  
პოეტ ხარ!... ალაღარა და, ჰა, და რად აღარ ახტე-ოხ!!!  
ქუქუქუქუ ოხერ-მოხეტე, მეტეხო, მრეხო, ჟუქუქუქუ,  
რა ხილული ხე მეხარა, რა, რა ხე მეხილული ხარ!?  
სავსემო-მე რა ვთმე დიდა-ქადი დე, მთვარე მომესვას,  
ქიაქა, ქადაქ-ქადაქა და ქადაქ-ქადაქ აქა-იქ,  
ტირშია დიდა-ქადიდა, ქადი და ქადი... დიშირიტი...  
ქრცხობ, მამერებ ერდა, ნადარებ ერებ-ამბოხ-ცრუ...  
ქირი-ტიონ თესა დაჯადა და დაჯად ასეთნაე ტირიფ:  
ღარა, ინამა ცა მამად, ამამაცა მან იარად:  
ქანას ვერ აყან-ადიდა, წადი და ნაყარევე სანაყ —  
ქოთი აგორე, ფარა ცან... ნაცარა ფერო გაითოშ,  
ჩამჩი-ქვად არ უშენე და, გადნევე შურად ავ-ქიჩმარ...  
ცას დრეკ მომზირევე არ მზისად, ასიზმრა, ვერ იბოშო მკერდსაც,  
ქრე, კმარა ამბოხ-მადიდო, მოდი და მხოზმა არა მკერძ,  
წელი რა დახრა მასადა და დასამარხად არ იღწე,  
ქიად, უთაოდ ნასალარს, რალა სანდოა, თუ დიჭ...  
ხეტიადა მად ალადა, დალადა და მად აიტეხ —  
ქიბეთა მომხმარე რა ვგმო, მომგვარე, რა მხმო-მათ ებიჯ,  
ქუნდო, რა ხედ-უსასოოსა სუდ ეხაროდენ: უჰ!...



## დ ე ჯ ი ს ს ი ზ მ ა რ ი

სიზმარი დევო მასიზმრე, ფერ მზისა მოვედი რა მზის —  
იღარე ფერად ასი ცა, ცაც ისადარე ფერადი,  
ასდარ ეფარე, ადარე, ერადა, ერა-ფერადსა,  
იბერიც მივა-გრადთ რა, მართლა არ გავიმცირებში...  
ეზმანე, ეზიანელო, ო, ენა იზმე ენამზე,  
ცისი ავივსო მაისად, ასი ამოსვი გაისიც,  
ცასაც მადარე ღმერთმა-ზეშ, ეზამთრე მღერად ამ ცასაც,  
ცის ია-მიჯნური პოვო, პოვო პირ-უნჯი მაისიც.  
ანათო, თან აიმედე, ედეში ანათო თანა...  
ინათა... ცისა თავსა სვა, თავს ასვა თასი ცათანი,  
დაისი... ნავსად იდევი: დიდ-ვედი დასვა ნისიად,  
აისიმც ისინათლევ და, მად, ვედთან-ისიც მისია...

\* \* \*

ივერო, მნათსა მიწად აღებურ, ღრუბედად აწი მასთან მორევი  
მოისარკა და გარდასაფარნი ვინ რა ფასად რა გადაკრა სიომ,  
ევადა ცდაი და ვისიზმარე, ვერ ამზისივა დიად ცადავე,  
რა თავი ღლად ადარა მზისად, ასიზმარა და დალდა ვითარ  
ინათა ცისად... აღარც ინათა, ცათანიც, რაღა დასი ცათანი...

\* \* \*

ხემან ადარა ფერად უნასებრს, რბეს, ანუ დარ-ეფარა დანამეხ,  
რა ხილუდა მად, რა მათ ნაცრევედა, რად ვერ ცან თამარ, დამადღრი ხარ...  
ედავე, საომრადაც იბეკნა, ტანკები ცად არ მოასევადე,  
ვერანიც მომრევეთ არ ამხედარე, ვერად ეზმარათ ვერ მომცინარევი,  
ერად ასდარი პირად სიზმარა და რა მზის დარი პირადს ადარე,  
დუკმადაც იდევს, არე-კადთანი მინათდა, კერას ვედი ცად ამკულ —  
ინათა სიზმრად ცით უწინარე, ვერანი წუთიც დარ მზისათანი...



SOS! SOS!

**სტონი ბერი და მადიდებელიცა!**

მოზარევე ქვათა, ათავექვე რაზომი,  
იღვე იმ დასსა ცას სად მიველი  
ადავა შავლეგ, აგელვა შავადა,  
— აცილე ბედი და მადიდებელიცა.

აბერა მუღმივი, ცივი მღუმარება,  
იბევრა ქურაცა, ნაცარ უქარვები,  
ცად ეს ასი წელიც იღწის ასედაც,  
— აცილე ბედი და მადიდებელიცა.

ელამად მოზარევე, ვერაზომ დამაღე  
არევა-დარევა! ვერა და ვერა!  
და მოვა რაზებად, აბეზარ, ავ ომად...  
— აცილე ბედი და მადიდებელიცა.

ადიღო მიწა! ო, აწი მოდი და, —  
საციღო რბევათა სათავე: ბროლი-ცას!  
...ო, რა სისინია კაინის ისარო.  
— აცილე ბედი და მადიდებელიცა.

## ა ბ ე კ ე კ ე ზ ა

ანუ — ვერძის წელიწადი  
იბერო მზესა რას ეზმორები,  
სიღმოს რად მაღავ -- აღამდარს ობლის,  
რა ხარ ეგეთი... ცით ეგერა ხარ!!!  
თიზო რა მკადვე სევდა კმარობით...

აი, ცა-კარნი... ვინ რა კაცია —  
ადევს ცა ნათლივშვილთანაც სვედა;  
ო, თანამომრბევებრ მომანათო,  
ადღეგმა სად ცას აცდა სამგლედა...

და ცად ანათლა აღთანა... და ცად  
იდექ... არა და — აღარა ქელი,  
აღაგმა ნათი, ცით ანამგადა,  
ითენა, იცინა მან ციანეთი...

თიბე რა მნათსა მასთან მარებით,  
რა ლამეც მოვა — თავო მცემ აღარ;  
არ აკარა და, ცად არ აკარა  
ნახა, რა ველი იღევა რახან...

და რა მსრა ყინვამ, ავნი ყარს მარად,  
და რა ქარ-თივად და ვით რა ქარად  
ო, რა ქურადაც ცა ღარ უქარო  
არ აადარა, არა და არა...

ცა რახან ერად არ ენახა რაც  
თიბე — გაგრევედა ცად ვერგაგებით,  
ცივს ეფარა მზის სიზმარა ფესვიც,  
თიბეთ მაინცა, — კაცნია მთეებით...

იჩუქა... ჩოქით იქო ჩაქურჩი,  
თიბე: ნამგაღმა ამღამა ნუბით  
აჩუქა, ჩასვა, თავს აჩაქურჩა...  
თიბე — ნამზევსა ცას ვეზმანებო!

ო, რა დიდებით იბედიდარო:  
აი, ცა ტანად ანატაცია,  
და ვიძმე მე მზე, მეზმე მე მძივად,  
აი, სარკვედაც ცად ეკრას ია...

## ა ც ა — ზ ა ც ა

ა, იბედეშ, ღუქანისა ფასი ნაქუდბეიეზია,  
თიშე ფრაზა, არ უყურა, სავსე ესვას აზარფეში /  
ადარაბა, ედღა მომცა, ცაც მომადღე აბა რადა,  
ღავად... ამას არა კარად არ აკარა სამადავად:  
ანუ ბაძა, ანუ ჩაღა — ქადარუნა აძაბუნა,  
ანუ ყადბად ამუნათა ღა თან უმად აბდაყუნა;  
არაყ-ჭაჭა აღიბიბა, აპიღიღიღა, აჭაჭყყარა,  
არა კადრა... კავად აცა-მაცა ღავა კარდაკარა...  
...ა, ივერი... მცირე ერსა ასრე ერცი მირევია.

## ამებსა მესი ცინე — მასემა...

მეკრთამებს, ქორეპრებს,  
საეკულანტებს, და სხვათა...

ცად ეზმანათ სიცილეთი წითელი ცისთანა მზედაც...  
დე, ხილი, ხე ჩაჩეხილი, ხილი, ხე — ჩაჩეხილი ხედ  
ცად ნუ თავდება, გერუქა საქურე გაბედვა თუნდაც  
სადუქანო მათ რა ქონდა, მად, ნოქართა მონა-ქუდას?

ვერ უღევი სალადლოდ, ო, დალ-დალა სივეღურე!  
ცა მახადა, ტიღუ ფეხიცა, საციხე ფულ-ტიდაზამაც,  
არი ვინა? არ ახანა? ან ახარა... ან ივირა...  
ასივ ათასები ჯერ — გან, აგრე ჯიბეს ათავისა.

არ უღევად არა ცანი, ვინაც არად ავეღურა,  
ან უკარა? ამშიშარა? რა, რა შიშია არაკუნა?  
ასო აქა, ასო იქა, ბაქიო სააქაოსა  
ასე მიქე, აი, მიქეს, ექიმი აექიმესა...

დარბევად არ იშაირე? კერიაში რად ავემ? რად?!  
ან იცი რა? არ იტირე? ვერ იტირა! არ იცინა!  
არ ალუშო მაციდი ცამ, მაციდი... ცა-მოშულარა  
მოთივა, თან უმუნათა და... თან უმუნათა ვითომ...

მედს ნუ წაუთაგუნდები, ჯიბედ ნუგა თუა — წუნს დებ?  
აინუნნი — აი, რადა, რად არი აინუნია!  
